ოქმი:**ო03. 3725329001**

თარიღი:**25/11/2025**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2025 წელი, 24 ნოემბერი
ქ.ოზურგეთი
13:00 -13:30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, გ. მდინარაძე, დ. ასათიანი, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, თ. ქინქლაძე, ბ. თოიძე, ვლ. ხავთასი, გ. გაბისიანი, ი. ჩიკაშუა, დ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი

პარამეტრები. აღნიშნა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 47407,0 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4007,0 ათასი ლარით, რაც პროცენტულად შეადგენს 9,23%-ს. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომისიის ფუნქციის შესაბამისი დარგებისა და პროგრამების დაფინანსებას, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანამომხსენებელმა პ. ჭყოიამ უპასუხა დასმულ შეკითხვებს. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები, კერძოდ: დასაზუსტებელი ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების განხორციელების ლოკაციები, პროექტი უფრო მეტად უნდა იყოს გამჭვირვალე, მისაღები და ადვილად გასაგები რიგითი მოქალაქეებისთვის. სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა, რომელიც მოიწონეს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, არსებული კანონმდებლობის შესაბამისდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი მუდმივმოქმედი კომისიების, ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მორე საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის შედეგებზე, ძირითად პარამეტრებზე, შემოსულობებსა და ხარჯებზე კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ. აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში. სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა, რომელიც მოიწონეს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ანგარიში წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლი ანგარიში წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი